ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/ბ

ქუთაისი ,,06" აგვისტო 2013წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ **შპს „მრწამსი+"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დადუნაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში მიღებული მიზნობრივი გრანტის 2013 წელს გამოყოფილი ასიგნებებით, ქ. ქუთაისში, განჯის ქ. 1 შესახვევი #15/2-ში მდებარე, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის, ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაწესებულების (თავშესაფარი) შენობის გაზმომარაგების პროექტის (შემდგომში ,,პროექტი") (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV-71300000 – საინჟინრო მომსახურებები, ობიექტი - 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **560** (ხუთასსამოცი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, გარდა დ.ღ.გ-სა (აღნიშნული პროექტი იბეგრება დ.ღ.გ-ს „0"-ვანი განაკვეთით, რაც დაფიქსირებულია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე - www.rs.ge - საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიანი ელექტრონული რეესტრი: პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის დასახელება - სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი", ს/კ - 205169592; საერთაშორისო ხელსეკრულების დასახელება - „საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის (UNDP)" 2008 წლის 8 თებერვლის შეთანხმება; პროექტის დასახელება: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს, ქ. ქუთაისში, განჯის ქ. 1 შესახვევი #15/2-ში მდებარე, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის, ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაწესებულების (თავშესაფარი) შენობის გაზმომარაგების პროექტი (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია) შესაბამის განმარტებით ბარათთან ერთად.

3.2. ,,პროექტის" შედგენისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი საძიებო-საპროექტო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

3.3. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს 1 ფერად და 2 შავ-თეთრ ეგზემპლარად (ფორმატის ზომა A-3), ასევე ელექტრონული ვერსია PDF და Excel ფორმატში.

4. . მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, გაწეული მომსახურების (,,პროექტის" მიწოდების) შესაბამისად.

5.2 მომსახურების გაწევიდან („პროექტის" მიწოებიდან) არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, და „0"-ვანი განაკვეთის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3 ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების („პროექტის" ღირებულება) ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევა („პროექტის" მიწოდება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყველა ხარჯს დაკავშირებულს ხელშეკრულების საგანთან იხდის „მიმწოდებელი".

7.1.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხვედელობა სამუშაოების განხორციელების პროცესში, კონსულტაციების გაწევა, საჭიროების შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი

მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან
დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით
მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ფონდის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული პირ(ებ)ი.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის ფუნქციებია:

15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'' 2 ეგზემპლარი _ ,,შემსყიდველთან".

„შემსყიდველი“

სსიპ“ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”
ქ. თბილის წერეთლის 144
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200136022
ს/კ № 205165592

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „მრწამსი+“
ქ.ქუთაისი, გელათის ქ. 2 ჩიხი. №7
ს/ს „საქართველოს ბანკი“
კოდი № BAGAGE22
ა/ა № GE85BG0000000234929400
ს/კ № 212905356

დავით დადუნაშვილი
დირექტორი

შემოსავლების სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
212905356

გადამხდელის დასახელება
შპს მრწამსი +

ხელმძღვანელი
დავითი დადუნაშვილი

გადამხდელის მისამართი
ქ.ქუთაისში / გელათის II შეს #7

ელ-ფოსტა
dato483@mail.ru

ტელეფონი
597483483

ცნობა

ეძლევა, "შპს მრწამსი +"-ს (ს/კ 212905356) მასზედ, რომ ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით არ არის რეგისტრირებული დღგ–ს გადამხდელად

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: 01/08/2013

ID: 1580794

2490368